



# ମୋହନୀ

№3, 2016



# საგაზაფხულო ამბავი

თებერვლის ერთ-ერთ შუადღეს  
(იყო თორმეტის ათი),  
ზამთარს მიართვეს ბარათი,  
— ხომ ხედავ, უკვე წახდი!  
ჯობს, უბრძოლველად დამითმო  
შენი კვერთხი და ტახტი!  
წერილი წვიმას მოჰქონდა,  
ხელს კი აწერდა მ ა რ ტ ი.

ჯანგატეხილ ბერიკაცს  
ბრძოლის თავი სად ჰქონდა,  
მაგრამ ტახტს და მეფობას  
უბრძოლველად დათმობდა?!



თუმცა თეთრი ლაშქარი  
უქრებოდა ლაჩრულად!  
ამ დროს მზისფერ კარავში,  
ღრუბლებს ზემოთ, ცაში,  
გაზაფხულის სარდალი  
ბრძოლის გეგმას გაშლის,  
— სხივებს დასცხებ მაღლიდან!  
(გზას ულოცავს მზეს მარტი),  
კოჯრის ტყეში გამაგრდეს  
ყოჩივარდას დესანტი!

არ გიამბობთ დაწვრილებით,  
რა ბრძოლები გაიმართა  
მანგლისის თუ კოჯრის ტყეში,  
არმაზთან თუ ნატახტართან...  
და ქალაქები ზარ-ზეიმით  
მარტი როგორ შემობრძანდა!  
ერთხანს დინჯად იმეფა,  
კვირტებს მიესათუთა,  
მოუსინჯა მაჯები  
ნუშებს, ტყემლებს, ხართუთას...  
მერე გადაირია,  
აუხირდა მიწას  
და სულ მოულოდნელად  
ანც გოგონად იქცა!  
მზემ აჩუქა ცხრა სხივი,  
ცხრითვე იწყო ხატვა,  
მიწას მწვანე ჩააცვა,  
ვარდისფერი — ატამს,  
მოიყოლა ფერები —  
ხასხასა და ლორთქო,  
დედამიწა, ხატულა,  
ხოხობივით მორთო!

ამ დროს მთებისკენ გაქცეულ  
ზამთარს აცნობეს ამბავი,  
— მარტი ერთობა, ქალაქები  
საფრთხეს არ ელის არავინ.



ზამთარმა ხელი შემართა,  
ბრძანება გასცა იმწამს,  
– მარტს თავზე უნდა დავესხა,  
გადავათეთო მიწა,  
წავშალო მარტის ნახატი,  
ყინვა ვამსგავსო ჯალათს,  
იმ მეტიჩარა ყვავილებს  
ვუჩვენო ჩემი ძალა!

მარტმა იგრძნო საფრთხე და  
მაღლა ზეცას ახედა!  
მზემ საშველად ხეხილის,  
ენძელების, იების...  
დარაზმა და მიწაზე  
გამოგზავნა სხივები!

ძალაგამოლეული,  
თეთრი ქურქის ფართარით  
დაიძრა და მთებისკენ  
წალასლასდა ზამთარი!

**მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე**

როცა ამ ამბავს გიამბობთ  
მარტი ათი დღის არის,  
ხევხუვებსა და ტყეებში  
ისევ დგას ზამთრის ჯარი.  
ხვალ-ზეგ მზე გაძლიერდება,  
სხივებს მიწაზე მოჰყენს  
და ლილოჭრილოდ მოაქცევს  
ტყე-ჭალას, მინდვრებს, კორდებს...  
თოვლი დადნება, გაქრება, მიწა დარჩება სველი,  
მიწიდან ამოიხედავს ბალახის მწვანე ლერი,  
შეჰველიმებს ქვეყნიერებას, მადლობას ეტყვის მზე  
და ჩვენთან ერთად დაუცდის  
აპრილის ლამაზ დღეს!

## ბაბუა და შვილიშვილი

კერცხეთის თოვლიანი მთა განათლის-ფრდა, მამალმა იყივლა და... ნოე ბაბუასაც გაეღვიძა, ლოგინიდან წამოდგა, პირჯვარი გადაიწერა, ჩაიცვა, მოწესრიგდა, ბუხარი ააგუზუზა და ოთახიდან ფრთხილად გავიდა. მურია შემოელაქუცა. ძალლი დაბა და საკვირაო საქმეს შეუდგა. ყოველ კვირას ეზო-კარისთვის უნდა შემოევლო; ლობის ყოველი კუთხე-კუნჭული გულდაგულ შეემოწმებინა – ხომ არ დაზიანებულა შემოკარებული! მერე ვენახში შედიოდა.

პირველკლასელმა მამუკამ, ნოე ბაბუას უმცროსმა შვილიშვილმა, როგორც კი გაიღვიძა, მაშინვე ბაბუ მოიკითხა. დედიკომ უთხრა: დღეს კვირაა, ბაბუა კარ-მიდამოს შემოუვლის და მალე მოვაო. – ბაბუასთან მინდაო. – არა, შვილო, ჯერ ვისაუზმებთ, მერე გაკვეთილებს მოამზადებ, მოტკება და ბაბუასთან მერე გაგიშვებო. იცოდა მამუკამ, სიტყვა „მოტკება“ რასაც ნიშნავდა და დედას დაჰყაბულდა. მალე ნოე ბაბუც მოვიდა, ტაბლაც გაიშალა. მამუკამ ბაბუას ტაბლის თავში დაუდგა სკამი. ოჯახის უფროსი ყოველთვის ტაბლის თავში ჯდებოდა; მეზობლის ქალი დაჯდა ერთხელ ბაბუის სკამზე და მამუკამ იმწამსვე მიაძახა: – აქ არ შეიძლება, ეს ნოე ბაბუას სკამიაო! სანამ ოჯახის უფროსი არ მობრძანდებოდა, საჭმელს ხელს ვერა-

ვინ ახლებდა. ისაუზმეს. მამუკაც ატიკტიკდა: – ბაბუა, წისქვილში ხომ წამიყვანო; ბაბუა, საპარავად როდის წავიდეთო. მერე მამუკამ ნოე ბაბუას საქონელი მინდორში გადააყვანინა; თედორე ბაბუას ნაჩუქარი ცხენიც გადააბეს და დატკბა კიდეც; კერცხეთის მთაც გამოჩნდა. მზე მოძალიანდა. მამუკამ თავისი პატარა ბარი აიღო და ბაბუას ვენახში გაჰყვა. ციცქა-ცოლიკაური, მამუკარომ დაიბადა, მაშინ დარგეს. უფროსი შვილიშვილის, ვახტანგის სახელზე გაშენებული ვაზიც აქვეა. ბიჭი რომ დაიბადებოდა, მის სახელზე ვაზი უნდა გაშენებულიყო. მამუკამ იცის, რომ სამასი ძირი ვაზი მისია და ამიტომაც არის ასე მოწადინებული: უნდა დაბაროს, მერე გასხლას. სამ ძირ ვაზის რომ შემოუბარეს, მამუკამ ბაბუას უთხრა: – შევიხოხინებ ცოტას, ბაბუა, დავიღალეო. ჯორკოზე ჩამოჯდა, ბაბუაც გვერდით მიუჯდა. – შენი ვენახი უკვე მოლონიერებულია, ორი ნეკი და ორი მოსახვევი დავუტოვოთ. ნოე ბაბუამ ახლა გასხვლას მიჰყო ხელი. მოშუადლევდა. ვახტანგ! ვახტანგ! ჭიშკარს მეზობელი მოადგა ძახილით. – ბაბუა, ვახტანგს რომ იძახიან ეს მეზობლები, ჩემს სახელს რატომ არავინ იძახისო? – ბაბუ გენაცვალოს, შენს სახელსაც დაიძახებენო. და მართლაც, ორი წუთიც არ გასულა, ახლა მამუკა-მამუკას ძახილით მერი მასწავლებე-





## მხატვარი მალეაზ კუსაშვილი

ლი მოადგა ჭიშკარს. გაუხარდა, ესიამოვნა პატარა ბიჭს, თავისი სახელი რომ გაიგონა, თანაც მასწავლებლისგან. ნაშუადლევს ნოე ბაბუამ ტომარა სიმინდით აავსო, სიმინდი ჩაყარა პატარა ტომარაშიც, დომნა ბებომ მამუკას რომ შეუკერა. მამუკამ თავისი ტომარა, გასაშუალებული, მხარზე შეიგდო და ურემთან მიიტანა. ბაბუამ ბუღია ურემში შეაბა. – ბაბუა, წისქვილიდან საფქვავს ხომ წამომალებინებო?! – კი, ბაბუა გენაცვალოს, აბა რას ვიზამო! წისქვილისკენ მიმავალ ბაბუასა და მამუკას მეზობლის ბიჭი წამოეწია წატრულია-წატრულიას ძახილით. მამუკას ეწყინა, „წატრულია“ რომ დაუძახა მეგობარმა. სამი-ოთხი წლის იყო მამუკა, დედიკოს ეტყოდა: – ბაბუა მენატრება, ბაბუასთან წამიყვანეო. ბაბუასთან რომ მივიდოდა, ცოტა ხანი გაივლიდა და ბაბუას ეტყოდა: – დედიკო მენატრება, დედიკოსთან მინდაო. ამიტომაც შეარქვეს „წატრულია“. ახლა, როცა პირველ კლასშია, „წატრულიას“ დაძახება სწყინს და ესირცხვილება.

ბუღია ჭკვიანი ხარია, გაძლოლა არ უნდა. ნოე ბაბუა ურემზე ავიდა და შვილიშვილს გვერდით მიუჯდა. გამხიარულდა ბიჭი, ბაბუა რომ გვერდით დაიგულა. ბევრი რამ ჰქონდა მისთვის სათქმელ-საამბობი. – ბაბუ, წელს ვახტანგს რომ საწნახელში ყურძენი დააწურინე, მეც ხომ დამაწურინებო; ჭალაში რომ წაიყვანე ყანის გასამარგლად,

მეც ხომ წამიყვანო; ორფუთიან ჭურს მეც ხომ გამარეცხინებო! – კი, ბაბუ გენაცვალოს, კი, ბაბუ შემოგევლოსო, და ხარობდა ბიჭი. იცით, რატომ უყვარდა და უხაროდა წისქვილში წასვლა მამუკას? გზად მიმავალი ყველა სიყვარულითა და რიდით ესალმებოდა ნოე ბაბუას. – ნათლია გაგიმარჯოს; ნოე ნათლია, გენაცვალე, გამარჯობაო; მამუკა, ეხმარები ბაბუასო? ამ სიტყვების გაგონებაზე, ბიჭს გუღი სიამაყით ევსებოდა.

სიმონიკა მეწისქვილეც ნოე ბაბუას ნათლული იყო. ნათლიას რომ დაინახავდა, აღარ იცოდა, სიხარულისგან სად წასულიყო. სიმინდს ურიგოდ დაუფქვავდა ხოლმე. მამუკას ბალიმა კანფეტებით გაუმასპინძლდებოდა. სახლეულს, იქვე რომ ცხოვრობდა, გასძახებდა – ნოე ნათლია მობრძანდაო! და სიმონიკას მეუღლე დოქით და ჭყინტი ყველით ლექსო-ბიჭთან ერთად მაშინვე წისქვილში გაჩნდებოდა. მამუკას ღვინოში პურს ჩაულბობდნენ და ისიც სიამოვნებით მიირთმევდა ორ-სამ ლუკმას, ალადასტურში ამოსიმღერებულს.

წისქვილიდან რომ დაბრუნდნენ, ქათამი და ინდაური თელაზე იბუდრებდა. მამას ჭიდან წყალი მოჰქონდა, ვახტანგი დატაფულ ხარდანს ფარდულში აწყობდა. მაყვალა და ბებია დომნა ბიჭებისთვის ახლად მოქსოვილ წინდებს და ხელთათმანებს თოკზე ფენდნენ. დედიკო კი სავახშმოდ ტაბლას აწყობდა.



ნავახშმევს რძალმა მამამთილს შეჰკა-  
დრა: – მამა, ფეხის დაბანას ხომ არ ინებებო.  
– კი, შვილო, დავიბან, დღეს ბევრი ვიჯაფეო.  
რძალმა სპილენძის გაკრიალებული ტაშ-  
ტით წყალი შემოიტანა. თუ აქამდე ვახტანგი  
ჰპანდა ბაბუას ფეხებს, ახლა მამუკა ჰპანს.  
ამჯერადაც გულდაგულ დაბანა და გულდა-  
გულ შეუმშრალა.

ბებოს მაყვალა შეუწვა ფეხებში, ბაბუას  
– მამუკა. დედამ ბიჭს საბანი ამოუკეცა და  
შუბლზე აკოცა. გაიტრუნა, გაინაპა დედის  
ალერსისგან გასიამტკბილებული მამუკა.  
მერე ბაბუას ფეხები გულში ჩაიხუტა, ეფერა  
და ეფერა. ბაბუამ შვილიშვილის გულისფან-  
ცქალი იგრძნო და ლილინი დაიწყო, სხვათა-  
თვის ძლივს გასაგონი: – მამუკელა შვილი  
არის, გორგასალის ბიჭი არის, სამოძირო

შვილი არის... ჩემი მანათობელი, ჩემი გა-  
მათბობელი...

ეღიმებოდა მამუკას და რაღაც სხვანაირი  
სითბოთი მადლიანდებოდა. ძილიც ეძალე-  
ბოდა, ბაბუას ლილინსაც ისმენდა და გულ-  
ში დილით ნასწავლ ლექსს იმეორებდა და  
იმეორებდა:

კითხვა მასწავლა ბაბუამ,  
გასხვლაც მასწავლა ვაზის,  
სწავლა და შრომა თუ გიყვარს,  
ღმერთი ვაჟუაცად გაგზრდის.

ამასობაში მამუკასაც ჩაეძინა. ლოყები  
აღაუღაუებოდა, დროდადრო გაიღიმებდა –  
ტკბილ სიზმრებს ხედავდა, ალბათ.

არ ეძინა ბუხარს – ვეება ჯირკს ცისფერი  
ალი ეხვეოდა და ბუხარიც გუგუნებდა.

## კარისინი






# გონიერების ზარდახლა

## სწავლის საფასური

ერთხელ არისტიპეს ერთი ჭაბუკი მიუყვანეს შეგირდად. ფილოსოფოსმა სწავლის საფასურად წარმოუდგენლად დიდი თანხა – 500 ლრაჟმა მოითხოვა. აღმფოთებულმა მამამ წამოიძახა:

- როგორ? ეს ხომ ვირის ფასია?!
- თუ ასეა, იყიდეთ ვირი, – ურჩია არისტიპემ, – იყიდეთ და შინ ორი ვირი გეყოლებათ.



## ვირების რაცენა გასწავლი...

ერთხელ არისტოტელეს ერთი ყბედი, ენამასხარა ახალგაზრდა კაცი გამოეცხადა – ფილოსოფოსისგან ორატორული ხელოვნების სწავლა სურდა. კაცმა ენა აიქავა, იჭარტალა, ილაქლაქა და ბოლოს მთავარს დაუბრუნდა

– ბრძენ მოძღვარს ჰქითხა, რამდენია საჭირო მჭევრმეტყველებაში დაოსტატებისთვისო.

– სხვათაგან განსხვავებით შენგან ორმაგს ავიღებ. – მიუგო სახემოღუშულმა ფილოსოფოსმა.

– რატომ? – გაუკვირდა სტუმრებულს.

– იმიტომ, რომ შენთან ორმაგი ჯაფა მომინევს: ვიდრე ლაპარაკს შეგასწავლი, ჯერ დუმილი უნდა გასწავლო...

## ახისტობერებს გაჩიგება

აი, როგორ დაარიგა არისტოტელემ თავისი მოსწავლე, ალექსანდრე მაკედონელი:

– შენი საიდუმლოებანი არასოდეს გაანდო ორ ადამიანს, რამეთუ საიდუმლო თუ გაიცა, შემდეგ ვეღარ დაადგენ, ვინ იყო ამაში დამნაშავე. თუ ორივეს დასჯი, მაშინ აწყენინებ იმას, ვინც საიდუმლოს შენახვა შეძლო. თუკი ორივეს აპატიებ, ისევ უდანაშაულოს შეურაცხყოფ, რამეთუ იგი არ საჭიროებდა პატიებას.



მოამზადა ალეკო გაგალაიამ



# უნის ბაბუანი



გზაზე მიდის ერთი კვიცი –  
სადაც მიდის, კარგად იცის.  
დაიღალა თამაშით,  
მიდის თავის თავლაში.

გზაზე მიდის ერთი თაგვი,  
მოუსვრია ცხვირი ნაგვით.  
დაიღალა თამაშით  
მიცუნცულებს თავლაში –  
თაგვს იმ დიდი თავლის ბოლოს  
აქვს თავისი ციცქა სორო.

გზაზე მიდის ერთი ყვავი,  
მიდის, მიიჩქარის, ჩხავის.  
დაიღალა თამაშით,  
ისიც მიდის თავლაში.  
თავლასთან რომ ხე დგას ალვის,  
იქ ყვავების ბუდე არის.



ფუღუროც აქვს თურმე იმ ხეს,  
შიგ ბუ ბუდობს,  
ემალება მზეს და სიცხეს.

კიდევ რა დგას თავლასთან?  
სკა, საქათმე, სახლი.  
ერთი ბუდრუგანაც ჩანს,  
შიგ ვინ ცხოვრობს? – ძალლი.

მიდი-მოდის გზაზე ხალხიც –  
ზოგი მარჯვნივ, ზოგი მარცხნივ...  
რა კარგია, თუ გზის ბოლოს  
ყველას ელის თავის სახლი.



ვისი

ი  
ო  
გ

ა

ვ  
ე  
რ

კროსვორდის  
შესავსებად  
ცარიელ უჯრებში  
ჩაწერე ადამიანთა  
სახელები ისე, რომ  
მიღღო სიტყვა.

ვ  
ე  
რ  
ა  
მ

ვ  
ე  
რ  
ა  
მ

ვ  
ე  
რ  
ა  
მ

# ხითხითება



— მასწავლებელო, ვერ გავარკვიე,  
აქ რა გინერიათ წითელი კალმით?  
— რა და... „ნიკოლოზ, წერე  
გარკვევით!“



— ბავშვებო, რატომ არ ძარცვავდა  
რობინ ჰუდი ღარიბებს?  
— იმიტომ, რომ ღარიბებს ფული არ  
ჰქონდათ.



— ბავშვებო, რომელ მწერლებს  
ვუწოდებთ კლასიკოსებს?  
— კლასში რომ ვსწავლობთ!




— ეს რა ქენი, ქეთი! ასი წლის  
წინანდელი ლარნაკი გატეხე?  
— კიდევ კარგი, მე ახალი მეგონა.



— მამა, მინდა, დაბადების დღეზე  
რაღაც გაჩუქრო.  
— შენი საჩუქრარი ის იქნება, თუ  
ათიანებზე ისწავლი.  
— დაგაგვიანდა, მე უკვე გიყიდე  
საფულე.



ნუ ჯასურინი სხვასაო,  
გადაგხდერა თავსაო!



მხატვარი  
ლაშა სულაკაშვილი




ღოდო (კესარია) აბაშიძე

## ქეთინო გა რარა

– საით მიგყავს, ლალა,  
შენი დედოფალა?  
– ალარ მკითხო, ერთი,  
ჩემო კარგო ქეთი.  
არ მინახავს არსად,  
ბავშვი ასე ცელქი.  
სულ ვერ ვტოვებ მარტო,  
სულ მის სახელს ვყვირი  
ყველაფერში ამან  
უნდა ჩარგოს ცხვირი.  
უჭამია გუშინ  
ხაჭაპური მიწის,  
ალბათ, მოიწამლა,  
ახლა სიცხით იწვის.  
დილით ჩამივარდა,  
ადუღებულ ქვაბში  
ახლა, აგერ, მიმყავს  
პოლიკლინიკაში.  
მინდა, ვუმკურნალო,  
იქნებ, მოვარჩინო...  
– მეც მაგ დღეში არ ვარ,  
ჩემო თვალისჩინო.



მხატვარი  
ნატალია კუცია



# მარიკა

ლია კობალაძე

## იხვი ხა ბაჭია



სულ პანაწინას, პაწიას,  
მეტად პეწიან იხვუნას  
ბუმბულის კაბა აცვია,  
ქუდსაც მისსავეს იხურავს.  
ექილიკება ბაჭია,  
გადაყოლილი წოწიალს:  
– იხვი და ასე პრანჭია?  
იხვი და ასე კოპწია?  
– დიდყურავ, – იხვი ყვიტყვიტებს  
საყვედურით და ვიშვიშით:  
– ეგ ქურქი რისთვის გიყიდეს?  
შენც გაიპრანჭე, ვინ გიშლის?

## სპირო ხა ბათვი

– დათუნია ბაჯბაჯა,  
რა მოდგმის ხარ, რა ჯიშის?  
ნუთუ წონის დაგდება  
არ გიცდია ვარჯიშით?  
ისე უზარმაზარი,  
ზონზროხა და ზანტი ხარ,  
სხეულს ვეღარ ერევი,  
კუს ნაბიჯით დადიხარ.

– სპილოვ, რად მიგაჩნია  
თავი ჩემზე ტანჩიად?  
აუჰ, სინდის-ნამუსი  
მართლა არ გაგაჩნია?  
მწარედ ენაჩხვლეტიავ,  
ტლიკინავ და ტეტიავ,  
დავიჯერო, სარკეში  
სულ არ ჩაგიხედია?



# ოქტომბერი

ნათია ჯანაშია

## მარარი წნევა

ბუ უჩივის მაღალ წნევას  
და ექიმთან ჩაეწერა.

ექიმი კი გახლავთ ჭოტი,  
ტოროლების ნათლია.

– მერე?

– ჭოტმა ბუს ლოდინში  
მთელი ღამე ათია.

(შტერი, ღამის ოთხ საათზე  
ვინ მიფრინავს ექიმთან?!)

– მერე, მერე?

– რაღა მერე,  
ახლა წნევა ექიმს აქვს!




რობერტ მასეი

## ტხაბახა


აფრიკაში ცხოვრობს,  
დარბის სხვებზე სწრაფად,  
ასე ამბობს: სპილოს,  
აქლემსა და აფთარს  
მე ვჯობივარ, რადგან  
ფრთოსანი ვარ მარდი,  
სულ არა მაქვს ლომის  
და ვეფხვების დარდი.

ის კი არა, ერთ დღეს  
გაიმართა რალი,  
შუმახერი იცით? –  
იმას გავუსწარი.  
საიდანღაც ლომმა  
იღრიალა ამ დროს,  
სირაქლემამ თავი  
ცხელ ქვიშაში ჩარგო –  
დაიბნა და, აბა,  
სხვა რა უნდა ექნა?  
ძალზე ცუდი არის  
ყბედობა და კვეხნა.




ლიზა დანელია

10 წლის, შვეიცარია,  
ქალაქი მარტინი



LIZA DANIELIA





რუბრიკას უძღვება  
როცხა შელეგია





## ხოგონ მოაჩხინა საბამ ზაბუა

ზამთრის დასასრულს დღემ იმატა. მზე ღრუბელთა ტყვეობიდან გათავისუფლდა, ერთი გემრიელად გაიზმორა, სამყაროზე წიგნივით გადაიშალა და სიყვარულის ნიშნად არემარეს სითბო დაასხივა. ჩიტებმა უივილ-ხივილს უმატეს, უფოთლო ხეთა ტოტებზე აქეთ-იქით დახტოდნენ და ერთმანეთს ზამთრის გადაგორებას ულოცავდნენ.

ბაბუას ხელში აყვანილი საბა მკერდზე მიეხურებინა და ფანჯრიდან ეზოს გადასცეროდა.

— ბაბუ, ექიმებმა რა გითხრეს? — ამოიტიტინა პატარამ.

— არაფერი, ბაბუკა, გაზაფხულზე მორჩებიო, ბავშვს ხელი გადაუსვა, აკოცა.

— გაზაფხულზე?

— ჰო, გაზაფხულზეო.

— კი მაგრამ, გაზაფხული როდის მოვა?

— საბუკა, გაზაფხული მაშინ მოვა, როდესაც ჩვენი ფანჯრის წინ ეს ნუშის ხე აყვავდება.

— ხე როგორ უნდა აყვავდეს? — ბიჭი ცნობის-მოყვარეობას ვერ თოვავდა.

— როგორ და, ჯერ კვირტები ბუშტებივით დაეპერება, შემდეგ ძალიან ჩუმად — ბუჳ, დაიძახებს და ქათქათა თეთრი, თოვლის ფიფქივით სუფთა ყვავილების დიდ გუნდად გადაიქცევა, თითქოს კეთილმა ჯადოქარმა ხე საგაზაფხულოდ მორთო. ამას ჰქვია აყვავება.

— და მაშინ მორჩები? ექიმები აღარ მოვლენ და ნემსს აღარ გაგიკეთებენ? — საბა კამკამა, სიყვარულით სავსე თვალებით შეჰყურებდა.

— კი, შვილო, გაზაფხული მოვა თუ არა, მაშინვე მოვრჩები...

ის დღე იყო და ის, საბამ მოსვენება დაკარგა, გამუდმებით ფანჯარასთან მიდიოდა, სკამს მიაცურებდა, ზედ აძვრებოდა და ნუშის ხეს აკვირდებოდა. ტელევიზორში მულტფილმებს აღარ უყურებდა, სათამაშოებიც მიატოვა, გასაფერადებლები და წიგნები საერთოდ მიივიწყა. ერთადერთი, რაზეც უარს არ ამბობდა, ცურვაზე სიარული იყო. წყალში ჭყუმპალაობა, ყვინთვა და ფსკერზე სათამაშოების ძებნა ძალიან სიამოვნებდა.

— საბუკა, ცურვაზე მივდივართ, ჩამოდი მაგ სკამიდან, მოვემზადოთ, — დედა მიუახლოვდა და ხელში აიყვანა, — მითხარი, სულ ამ ფანჯრიდან რომ იყურები, არ მოგწყინდა?

— გაზაფხულს ველოდები, დედიკო.

— ჩემო პატარავ, გაზაფხული მალე დადგება, დათბება და მერე ბევრი ვისეირნოთ, ეზოში ვითამაშოთ, — მიეფერა დედა და საძინებელში ჩასაცმელად გაიყვანა.

დედა-შვილი ავტოფარეხში ჩავიდა. მაიამ საბა მანქანის უკანა სავარძელზე დასვა, თავად საჭეს მიუჯდა და საცურაო აუზისკენ დაიძრ-



ნენ. ბიჭუნა მთელი გზა მანქანის ფანჯრიდან იცქირებოდა. მოულოდნელად აყვავებული, თე-თრად გადაპენტილი ხე შენიშნა.

— მაიკო, გააჩერე! — შესძახა პატარამ.

დედამ მანქანა მექანიკურად დაამუხრუჭა, ბორდიურთან მიაყენა და ბავშვისკენ შებრუნ-და:

— საბუკა, რა მოხდა?

— მაიკო, აქ გაზაფხული უკვე მოსულა, — ბა-ვშვი კარის გახსნას შეეცადა.

— მოიცადე, — დედა მანქანიდან გადავიდა, ბიჭი გადმოიყვანა.

— იმ ხესთან მიმიყვანე, ერთი ტოტი მოვწყვი-ტოთ და ბაბუს მივუტანოთ, — ტიტინებდა საბა.

— ბაბუს ტოტი რად უნდა? — ვერ გაერკვა მაია.

— უნდა მოვარჩინო, — მოკლედ მიუგო პატა-რამ და ხისკენ გაიქცა.

მშობელი უკან მიჰყვა, ციცქა ტოტი მოუწყ-ვიტა და მიაწოდა.

— ცურვაზე აღარ მინდა, სახლში წავიდეთ, — საბა მშობელს მუდარით შეაცერდა.

— ცურვის შემდეგ მივუტანოთ.

— არა, ბაბუ უნდა მოვარჩინო, ახლავე წავი-დეთ, — გაჯიუტდა ბავშვი.

მაიამ მანქანა მოაბრუნა და გეზი შინისკენ აიღეს. საბას ტოტი გულზე მიეხუტებინა და მოუთმენლობისგან ცმუკავდა. როგორც კი ბინ-აში შევიდნენ, ბავშვმა მთელ ხმაზე დაიძახა:


— ბაბუ, ბაბუ!

მამაკაცი შვილიშვილს დერეფანში შეეგება:

— საბუკა, რა მოხდა?

— ბაბუ, გაზაფხული მოგიტანე! — გახარე-ბულმა ბიჭუნამ ტოტი წინ გაიშვირა, ბაბუასთან მიირბინა და შემოეხვია.

## მხატვარი ანეა კანდელაკი



## მიხეილ ხარითონიაშვილი

არა,

ლოყები წითელ-წითელი,  
ლოყებზე — შავი ხალები.  
მივლენ და გაიტაცებენ  
მინდვრად შეშლილი ქარები.

მწერი არის პანია,  
ქრელი კაბა აცვია,  
ყველას უყვარს ძალიან,  
სიხარულის მაცნეა.

გამოიჩანი!

# ზოგადი კურსი კულტურული

პეპელაზე გითხოვთ, პეპლათარზე, კი-  
დევ მის დობილზე, გვირილა – გვიმარისზე.

წუთისოფლობდნენ დობილები იმედნეუ-  
ლად ერთი-ერთმანეთისთვის. მზეც ერთი  
ჰქონდათ და მთვარის ბაკმსაც ერთფრად  
მოიფრთახატულებდნენ.

პეპლათარი მეტნილს ცაში ატარებდა.  
თვითნებურად როდი, გვიმარისი ეტყო-  
და, ნადიო, ცისა გამოწვლილვე ამბავიო, მეო  
– მინისას გეტყვიო.

წავიდოდა ისიც.

მოიღლიდა ფრთებს ფრენით და მაშინვე  
გვიმარისთან ბრუნდებოდა.

მისხდებოდნენ ერთი-ერთმანეთის გვერ-  
დით, იტყოდნენ აქეთ-იქეთურისას, პეპლა-  
თარი ცოტას მოიდალლისებდა და კვლავ  
ცად წავიდოდა.

ნიავქარობას პეპლათარმა შეგვიანება  
იცოდა. ქარი თუ წაიღებდა შორი მინდვრით.  
მაშინ, გვიმარისი მზერას ააცისზევითებდა  
და თვალდანატრული გაჰყურებდა ცას.

ერთხელ, ლოდინით მოღლილმა ლექსიც  
კი შეუთხზა დობილს.

– ლექსის წერისა, მე რა ვიციო, ლექს-  
მნერთ არა ნახონ, დამცინებენო, – დაიმორ-  
ცხვა გვიმარისმა.

პეპლათარმაც, რათა სხვამო, და გვიმა-  
რისს ლექსი გამოართვა.

მთლად კარგი საქმე რომ არ არის სხვა-  
თა ნათხობთა კითხვა, ეგ თქვენც იცით,-  
მაგრამ გვიმარისიც ხომ თქვენი კბილაა და  
თქვენი თითოეული სიტყვის ამოპირთბაგე-  
ბას რარიგ დანატრიან თქვენი მშობლები,  
ესეც კარგად მოგეხსენებათ, ჰოდა, აი, ეს  
ლექსიც:

ჟერია ქეპრათებაო,  
ჭარია ჭისა თვპრაო,  
ფხოვთი მზის ცხვმა მოგხალა,  
თვარები ჭისა ნამეა.



სიმართლე გითხრათ, აქედან მეც ვერ  
ამოვიკითხე, თუმცა, მეგობრის გულის ნაამ-  
ბობად ეს ოთხი სტრიქონიც იკმარებს...

ახლა, სამწუხარი რამ ამბავი უნდა ვთქვა  
მათზე:

შუადღისპირს, როცა პეპლათარი ცაში  
იყო, გვირილა გვიმარისს ერთი ვინმე ფუ-  
ტკარი – ფუნთო შეეჩვია. ჯერ იყო და,  
ფრენდა ფუნთო გვიმარისის შორით, თი-  
თქოს რაღაც საამო ხმაზედაც კი. მერე და  
მერე, ისე ახლოს ჩაუბზუბზარკა, გვიმარისს  
ყვავილის გვირგვინიდან სამი ფურცელიც  
კი წააცალა.

ეგ, საკარგოდ აქ არ მოვიდოდაო, თქვა  
გვიმარისმა და პეპლათარს უხმო:

– პეპლათარო, ჩქარა აქეთ, აქეთ, მომეშ-  
ველეო!

ის იყო, პეპლათარი მასთან გაჩნდა, რომ  
ფუნთოს გვიმარისის ნექტარი ფიჭის უჯრე-  
დებში მშვიდად გადაჰქონდა.

დაიმწუხრეს დობილებმა.

მისხდნენ უხმოდ ერთი-ერთმანეთის  
გვერდით, იქვე, მინისპირად.


გვიმარისი იტყოდა მხოლოდ, – ეგ, აქ კი-  
დევ მოვაო, – და გააბამდნენ დროდადრო  
ცრემლების წირპვლას.

და კიდევ;

თუმცაარა, არ ლირს მათ გულთამწუხრზე  
მეტად თქმა. აკი, დარდმა საბუდარში ჩაიხე-  
და, კრუხს კვერცხი გაულაყდაო, ჰოდა, ჩვე-  
ნაც აქეთისა ვთქვათ:

სალამო ხანს, დობილთ, მოლალურისა  
მოესმათ ჭივი:

– კრიიპ, წიპ, წიაპ. კრიიპ, წიპ, წიაპ, – წია-  
პებდა მოლალური და ბუდიდან პირველჯე-  
რად ამომსხდარ ბარტყებს, გვიმარისისა  
და პეპლათარის ცრემლთა მძივებს ჰფენდა  
ფრთებზე...



# რა გუბირა გუმაჩისზე

\*

აქ, დღეც მიილია.

მინდვრად ჭიჭნობელთა გაისმა ჭრიჭინი.

გამოვიდა სკიდან ფუნთო. მიმოუფრინა გვიმარისს – არცთუ ისე შორით.

მაგრამ რა, – მიუდევთ თავი დობილებს ერთი-ერთმანეთზე და წასულან ძილად.

ახლა, არც რა რიდი მართებს ფუნთოს მათი და, არცა რამ საშიშარი სჭირს...

უყურა ფუნთომ დობილებს, კარგახნობა, უყურა და, არაო – თქვა ბოლოს, – მთლად ეგრე ხარბად არ ივარგებს, მძინარეთ გულები რომ დაუსკდეთო... ჰო, ცოდონი კი არიან, მაგრამ... ნექტარიც რომ მინდაო?!

შედგა ფრთად, აინია ცად, მოიმარჯვა ხორთუმი, სადაცაა ჩასცემს კიდეც მძინარს – გვიმარისს, ამოსწოვს, გაანექტარებს ყვავილს და გაბრუნდება კვლავ თავის სკაში...

მაგრამ, ეს ხომ წამდაუწუმ არ მოხდება, ერთჯერ, ორჯერ, ჰა-ჰა-შვიდჯერ. მერვედ, გვიმარისი იქ აღარ დახვდება. ჩახრის ისიც წყრომით თავს და იტირებს. იტირებს ფუნთოს ავსაქმობას, უნექტრობას, უმწეობას იტირებს, იტირებს და მერე, თავისსავე ცრემლებს ჩაჰყურება მინად.

ჩაფიქრდა ფუნთო.

მინდვრად კი ისმოდა ჭიჭნობელთა ჭრიჭინი, ჯეჯილიანიდან მწყერ-გნოლთა ფაც-ფაცი, სათიბებისა – ნიავთოხევა... მერე გვიმარისის ფოთლებსაც დასწვიმა – თითქოს ლია ციდანო, იქვე – პეპლათარსაც, კიდევ – მინდორთ, ბალახთ, მინას:

წკუპა და წკაპი, წკაპი და წკუპი,  
წკუპა და წკაპი, წკაპი და წკუპი, —  
დაპფანტვია მოლალურებს მინდვრად  
დობილთ ცრემლთა წკლუპი...

...დილით, როცა ფუნთომ სკის ჭუჭრუტანდან გვიმარისს გახედა, ძალზედ კი გაჰკვირდა; გვიმარისისა და პეპლათარის ცრემლნაწვეთ მინას, სულ თეთრი, თეთრი გვირილები წაჰყენოდა!..

## მხატვარი პოლე მაცაპერიძე



# განგონას და ჩიტე თავისადასე

## კაცობრა ლიტონის ქანი



ვალი


5



დედა დათვმა, ჩუმ და ზანზარამ მთელ ცაჟე  
დაიწყეს პატარა დათვის ძებნა.  
ირმის, ქოფაკის, არწივის, კვიცის, ვეშაპისა  
თუ დელფინის თანავარსკვლავედებმა ყველა  
ვარსკვლავი ააკაშკაშეს და ცა გაანათეს, რომ  
პატარა დათვისთვის მალე მიეგნოთ.



ზანზარა, ჩუ და დედა დათვი  
ღროულად მიცვიდნენ პატარა  
დათვთან. შპვი  
ხვრელი უკვე  
თათებზე უსვამდა  
ცეცხლის ენებს.



- დედიკო,  
ალარსად  
ალარ წავალ  
დაუკითხავად,  
გზა ამებნა.



- რადგან ყველაფერი  
კარგად დამთავრდა,  
სახლში დავბრუნდე-  
ბით, წიგნს ვკითხულობ  
და ერთი სული მაქვს,  
როდის დავამთავრებ.

- კარგი იქნებოდა  
შენთან თამაში,  
პატარა დათვო,  
მაგრამ მეც  
დაბრუნება მინდა,  
ჩემს სახლში  
კარგად ვცემვა  
ხოლმე.



მარიამ  
ზოიძე

სალომე კვრიჭიშვილი

მთავარი რედაქტორი: დოდო ნიკოლოვი

ნახატი ყდაზე: ვაჟა ქურთულისა

მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77

<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბაკვო გამომცემლობა დილა  
ფასი: 2.50 ლარი



ქურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა  
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

